

კავშირი ოჯახში ძალადობის (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და
ვერბალური ფორმები) გამოცდილებასა და დეპრესიას შორის

ხატია ჩიხლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა დახელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის*

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი.



ილიას
სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი -----	2
ლიტერატურის მიმოხილვა-----	4
ჰიპოთეზა -----	16
მეთოდი -----	17
ცვლადები -----	17
მონაწილეთა შერჩევა -----	17
ინსტრუმენტები -----	17
პროცედურა -----	18
მონაცემების დამუშავება -----	19
შედეგები -----	19
შედეგების ანალიზი -----	21
დასკვნა -----	24
გამოყენებული ლიტერატურა -----	26
დანართები	
დანართი 1-----	28
დანართი 2-----	29

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია კავშირი ოჯახში ძალადობის გამოცდილებასა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ვერბალური) და დეპრესიას შორის. ოჯახში ძალადობა აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით, თითქმის ყველა საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი სქესის ნიშნით დაყოფა, რასაც გენდერულ უთანასწორობამდე მივყავართ. ძალადობრივ ოჯახურ ურთიერთობებში მყოფი მსხვერპლი ქალები მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფებიან, რაც ნეგატიურად აისახება მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. დეპრესია, შფოთვა, დაბალი თვითშეფასება, ალკოჰოლზე დამოკიდებულება, სუიციდის მცდელობა უფრო ხშირია ძალადობის მსხვერპლ ქალებში, ვიდრე იმ ქალებში, რომლებსაც ოჯახში ძალადობის გამოცდილება არ აქვთ. (Varkovitzky, Cort, Aubé, 2004)

კვლევაში გამოყენებული იქნა:

1. ეპიდემიოლოგიური კვლევების ცენტრის დეპრესიის სკალა (Center for Epidemiologic Studies Depression Scale (CESD) Laurie Radloff, 1977)
2. ფსიქოლოგიური ძალადობის განმსაზღვრელი კითხვარი (Psychological Maltreatment of Women Inventory, Tolman, 1995)

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18 დან 55 წლამდე ასაკის 30 რესპოდენტმა ქალმა, რომლებსაც გააჩნდათ ოჯახში ძალადობის გამოცდილება, კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა ცხოვრობდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში, მონაწილეები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „სახლის“ ბენეფიციარები და თოვლის გუნდის პრინციპით შერჩეული მონაწილეები რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობენ მოძალადესთან.

კვლევის შედეგად დაფიქსირდა: კორელაცია დეპრესიასა და ვერბალურ ძალადობის გამოცდილებას შორის, ძალადობის ფორმებს შორის, კერძოდ:

- ფიზიკური ძალადობა კორელაციაშია ეკონომიურ, სექსუალურ, საერთო ძალადობასა და იზოლაციასთან .

- ვერბალური ძალადობა კორელაციაშია საეთო ძალადობასა და იზოლაციასთან.
- ეკონომიკური ძალადობა კორელაციაშია სექსუალურ, საეთო ძალადობასთან და იზოლაციასთან
- სექსუალური ძალადობა კორელაციაშია საერთო ძალადობასა და იზოლაციასთან

შედარებით სუსტი კორელაციაა ვერბალურ ძალადობასა და ფიზიკურ, ეკონომიკურ და სექსუალურ ძალადობას შორის.

კორელაცია არ დაფიქსირდა დეპრესიას და ფიზიკურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობასა და იზოლაციას შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გენდერი, ოჯახში ძალადობა, დეპრესია